




ორჩევ ევერესტს?
ესე იგი ორჩევ
ხარისხს!!!

სახელი, გვარი, ტელეფონი
სკოლა
მათემატიკის მასწავლებელი


1) სახლს ოთხკუთხედი ფორმა აქვს. ნიკას და ბადრის ამ სახლის კუთხეებში ბოდები უნდა ჩაარტოს. 1 ბოდის ჩარტობას 3 წუთი სჭირდება. ნიკამ 1 ბოდი უკვე ჩაარტო. დანარჩენი 3 ბოდი ბადრიმ უნდა ჩაარტოს. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*


 ა) რა დრო სჭირდება 1 ბოდის ჩარტობას?
1) 1 წუთი 2) 2 წუთი **3) 3 წუთი** 4) 6 წუთი 5) 9 წუთი


 ბ) რამდენი ბოდი ჩაარტო ნიკამ?
1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) ხუთი

 გ) რამდენი წუთი დასჭირდება ბადრის 3 ბოდის ჩასარტობად?
1) 1 წუთი 2) 3 წუთი 3) 6 წუთი **4) 9 წუთი** 5) 12 წუთი


2) ბებია თავისი ფულის ნახევარი უფროს შვილიშვილს მისცა, დარჩენილი ფულის ნახევარი კი უმცროს შვილიშვილს მისცა. ამის შემდეგ ბებიას 20 ლარი დარჩა. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*


 ა) თავისი ფულის რა ნაწილი მისცა ბებიამ უფროს შვილიშვილს?
1) ნახევარი 2) ნახევარზე მეტი 3) ნახევარზე ნაკლები
4) ნახევრის ნახევარი 5) ამის გაგება შეუძლებელია


 ბ) რამდენი ლარი დარჩა ბებიას ბოლოს?
1) 10 ლარი **2) 20 ლარი** 3) 30 ლარი 4) 40 ლარი 5) 80 ლარი

 გ) რამდენი ლარი ჰქონდა ბებიას თავდაპირველად?
1) 10 ლარი 2) 20 ლარი 3) 30 ლარი 4) 40 ლარი **5) 80 ლარი**

3) სანდრომ ტბას ხუთჯერ შემოუარა და გაჩერდა. მან კიდევ ერთხელ უნდა შემოუაროს ტბას, ამისათვის სანდროს 4 კილომეტრის გავლა მოუწევს. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

 ა) კიდევ რამდენჯერ უნდა შემოუაროს სანდრომ ტბას?
1) ხუთჯერ 2) ოთხჯერ 3) სამჯერ 4) ორჯერ **5) ერთხელ**

 ბ) რამდენი კილომეტრი გაიარა სანდრომ როდესაც მან ტბას ხუთჯერ შემოუარა?
1) 20 კმ 2) 10 კმ 3) 5 კმ 4) 4 კმ 5) 2 კმ

 გ) რამდენი კილომეტრით ნაკლები დარჩა სანდროს გასავლელი, ვიდრე გაიარა?
1) 4-ით 2) 6-ით 3) 8-ით 4) 12-ით **5) 16-ით**

4) დედას 9 ლარი ჰქონდა. მან ხუთლარიანი წვენი იყიდა, დარჩენილი თანხა კი თავის შვილებს მარის და ნიკას თანაბრად გაუნაწილა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ლარი ჰქონდა დედას?

- 1) 4 ლარი 2) 5 ლარი 3) 9 ლარი 4) 13 ლარი 5) 14 ლარი



ბ) რამდენლარიანი წვენი იყიდა დედამ?

- 1) 4 ლარიანი 2) 5 ლარიანი 3) 9 ლარიანი 4) 13 ლარიანი 5) 14 ლარიანი



გ) წვენის ყიდვის შემდეგ რამდენი ლარი დარჩა დედას?

- 1) 0 ლარი 2) 1 ლარი 3) 4 ლარი 4) 5 ლარი 5) 9 ლარი



დ) რამდენი ლარი შეხვდა მარის?

- 1) 1 ლარი 2) 2 ლარი 3) 3 ლარი 4) 4 ლარი 5) 5 ლარი



5) კლასში 12-ზე მეტი და 16-ზე ნაკლები ბავშვია. მათი ნახევარი გოგონები არიან. რამდენი ბიჭია კლასში?

- 1) 6 2) 7 3) 8 4) 9

5) ამის გაგება შეუძლებელია, რადგან ზუსტად არ ვიცით რამდენი ბავშვია კლასში



6) კარავი გაიაფების შემდეგ 56 ლარი ღირს. გაიაფებამდე კარავი 80 ლარი ღირდა. რამდენი ლარით გაიაფდა კარავი?

- 1) 56 ლარით 2) 34 ლარით 3) 26 ლარით 4) 24 ლარით 5) 14 ლარით




7) ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?

- 1) შვიდი თორმეტით ნაკლებია ცხრამეტზე;
- 2) თექვსმეტი რვით მეტია რვაზე;
- 3) ცხრამეტის წინა რიცხვია ოცი;
- 4) ოთხის მომდევნო ორი რიცხვის ჯამია თერთმეტი;
- 5) თექვსმეტზე ორით მეტი რიცხვი ოცზე ორით ნაკლებია.




8) რას უდრის 0-დან 7-ის ჩათვლით ყველა ერთნიშნა რიცხვის ჯამი?

- 1) 28-ს 2) 26-ს 3) 21-ს 4) 17-ს 5) 8-ს


 9) ზაზამ 15-ზე დიდი და 17-ზე პატარა რიცხვი დაასახელა. ზაზას მიერ დასახელებულ რიცხვს იამ რომელიღაც რიცხვი მიუმატა და მიიღო 19-ზე ერთით მეტი რიცხვი. რა რიცხვი მიუმატა იამ ზაზას მიერ დასახელებულ რიცხვს?

- 1) სამი 2) ოთხი 3) ხუთი 4) ექვსი 5) შვიდი


 10) 3 ერთნაირი თევზი ერთად 12 ლარი ღირს. 2 ერთნაირი ჭიქა ერთად 8 ლარი ღირს. რომელი უფრო ძვირი ღირს და რამდენით 1 თევზი, თუ 1 ჭიქა?

- 1) 1 თევზი 4 ლარით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე 1 ჭიქა;
2) 1 თევზი 2 ლარით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე 1 ჭიქა;
3) 1 ჭიქა 4 ლარით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე 1 თევზი;
4) 1 ჭიქა 2 ლარით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე 1 თევზი;


5) ერთი და იგივე ღირს

 11) სამშენებლო კომპანიამ ხუთსართულიანი სახლი ააშენა, რომლის თითოეული სართულის აშენებას ერთი და იგივე დრო მოახდომდა, გარდა პირველი სართულისა. მათ პირველი სართული ოთხ დღეში ააშენეს. რამდენ დღეში ააშენა სამშენებლო კომპანიამ ხუთსართულიანი სახლი, თუ ბოლო სართულის აშენებას 3 დღე დასჭირდა?


- 1) 7 დღეში 2) 9 დღეში 3) 12 დღეში 4) 15 დღეში 5) 16 დღეში

 12) საახალწლო საჩუქრების შექენამდე დედას და მამას ერთად 100 ლარი ჰქონდათ. დედამ საახალწლო საჩუქრების შექენისას თავისი ფულის ნახევარი დახარჯა, ამის შემდეგ მას 22 ლარი დარჩა. საახალწლო საჩუქრები შეიძინა მამამაც. მან თავისი ფული სულ დახარჯა. რამდენი ლარი დახარჯა მამამ?

- 1) 56 ლარი 2) 66 ლარი 3) 76 ლარი 4) 78 ლარი 5) 88 ლარი

 13) მასწავლებელმა მაგიდაზე ჩხირები დააწყო. ნინომ და გიორგიმ გადათვალეს ჩხირები და თითოეულმა გამოთქვა აზრი: გიორგიმ თქვა – თუ მე ამ ჩხირებს სამ-სამად შევკრავ, მაშინ შესაკვრელი არც ერთი ჩხირი აღარ დარჩება. ნინომ თქვა – თუ მე ამ ჩხირებს ოთხ-ოთხად შევკრავ, მაშინაც შესაკვრელი არც ერთი ჩხირი აღარ დარჩება. ყველაზე ცოტა რამდენი ჩხირი შეიძლება დაედო მასწავლებელს მაგიდაზე?

- 1) სამი 2) ოთხი 3) ექვსი 4) რვა 5) თორმეტი

 14) მაისური 7 ლარი ღირს, ქუდი კი 1 ლარით ძვირია მაისურზე. ხელთათმანი უფრო ნაკლები ღირს, ვიდრე მაისური და ქუდი ერთად. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?

- 1) ქუდი 9 ლარი ღირს 2) ქუდი 6 ლარი ღირს 3) ხელთათმანი 15 ლარი ღირს

- 4) მაისური და ქუდი ერთად 15 ლარი ღირს 5) ხელთათმანი 16 ლარი ღირს